საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № 001109

25 სექტემბერი 2020 წ.

ქ. თბილისი
მუნიციპალიტეტი, ქალაქი

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის უსაფრთხოების ინსპექციის ფინანსურ-ეკონომიკურ სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი და გვარი

2. სამართალდამრღვევი: შპს „ა.ბ.ი." ს/კ 245416401 იურიდიული მის: ქ. თბილისი, ...ქ. N 37-39 III სართული ... მის ქ. თბილისი, ... ქუჩის N 23 ... 515

სახელი, გვარი, პირადი №, მისამართი ფაქტობრივი/რეგისტრაციის მიხედვით / იურიდიული პირის შემთხვევაში - დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი ფაქტობრივი/რეგისტრაციის მიხედვით

3. მოწმე(ები)/დაზარალებულ(ებ)ი (არსებობის შემთხვევაში):

სახელი, გვარი, მისამართი

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი:

შპს „ა.ბ.ი." ... ქ. თბილისი ... N 23. შრომის უსაფრთხოების ... 2020 წლის 17 სექტემბრის ... ინსპექციის სუხიშვილის ... „შრომის უსაფრთხოების შესახებ". ... „შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 6, პუნქტი 1 „ა-3" ქვეპუნქტები, მუხლი 5 პუნქტი 2 და პუნქტი 3, მუხლი 6, პუნქტი 3 „ბ" ქვეპუნქტი, მუხლი 5, პუნქტი 1 „ვ, ბ" ქვეპუნქტი, მუხლი 8, პუნქტი 1.

სუხიშვილის ... 2017 წლის 27 ოქტომბრის ... „შრომის უსაფრთხოების ... შესახებ" მუხლი 16, მუხლი 11, მუხლი 5, მუხლი 6, მუხლი 9, პუნქტი 4 და 5, მუხლი 14, ~~მუხლი 1~~ პუნქტი 15, მუხლი 12, მუხლი 13, მუხლი 14, პუნქტი 9, მუხლი 15.

სუხიშვილის ... 2014 წლის 27 მაისი ... N 361 ... უსაფრთხოების შესახებ: მუხლი 15, პუნქტი 9 და 10, მუხლი 2, პუნქტი 3, მუხლი 2, პუნქტი 2.

სუხიშვილის ... 2014 წლის 15 აგვისტოს ... N 49 ... ...

5. დარღვეულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პუნქტი 1. 23-ე მუხლის პუნქტი 1.

მუხლი, პუნქტი, ქვეპუნქტი

6. დარღვევის გამოსასწორებლად მიცემული ვადა: 10 (ათი) დღე
სიტყვიერად

7. სახელის სახე, ოდენობა: [illegible] (ლარი - ჯარიმი [illegible])მთხვევაში)

8. დამრღვევის ახსნა-განმარტება: [illegible]

9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები.

10. ოქმის შემდგენელი: [redacted] _____ [redacted] _____ /

11. სამართალდამრღვევი: [redacted] _____ [redacted] _____ /

12. მოწმე: _____ / _____ /
სახელი და გვარი ხელმოწერა

13. დაზარალებული: _____ / _____ /
სახელი და გვარი ხელმოწერა

14. დოკუმენტები, რომლებიც ერთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს:
[illegible] N1 - [illegible]

საქმის გადასაწყვეტად საჭირო ცნობები, მასალები და ა.შ.; დამრღვევის ახსნა-განმარტება ან მის მიერ წარმოდგენილი სხვა მასალები

15. შენიშვნა: _____

16. სამართალდამრღვევი პირის მიერ ხელმოწერაზე ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა:

დამკვეთი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „კაბადონი+“
სფს-ს რეგისტრაციის № 25-5468

შენიშვნა

ოქმის მეორე მხარეს აღინიშნება:

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე; თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; 10 დღის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლით დადგენილი წესით გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება) ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (მის.: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №144) ან რაიონის (ქალაქის) სასამართლოში.

გაფრთხილება!

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დამრღვევმა ჯარიმა ნებაყოფლობით უნდა გადაიხადოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებიდან (გაცნობიდან) 30 დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევის თანრიგებზე სარეიტინგო ჯარიმის ორმაგი ოდენობით, სარეიტინგოდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და

<u>დანართი 1</u>

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ N 144
ტელ: (032) 2 51 00 26

მ ი თ ი თ ე ბ ა № 001109/ო

შედგენის თარიღი 24.09.2020 წ.

შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახური დამრღვევის მიმართ სახდელის სახედ გაფრთხილების და ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში გასცემს მითითებას გონივრული ვადაში გამოსწორების მიზნით (საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ 18-ე მუხლის მე-2 პუნქტი);

ობიექტის დასახელება და მისამართი:

შპს „ანაგი“ ს/კ 245416401
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, კოსტავას ქ. N37-39, III სართული.
ფაქტობრივი მისამართი: ქ.თბილისი, გ.აბესაძის N23.
დირექტორი - [illegible]
ეროვნული კლასიფიკ[illegible] (NACE 2016):
F41.20. საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 10 აგვისტოს ბრძანება N 01-42/ო საფუძველზე ქალაქ თბილისში, გ.აბესაძის N23 შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ინსპექტორების მიერ შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმების მიზნით „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით 2020 წლის 17 სექტემბერს განხორციელდა ინსპექტირება.

ინსპექტირების შედეგად გამოიკვეთა შრომის უსაფრთხოების ნორმების შემდეგი დარღვევები:

ორგანიზაციამ წარმოდგინოს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს დასაქმებულებისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკის შემცირების და აღმოფხვრის ღონისძიებებს, ასევე საფრთხეების იდენტიფიცირების და რისკების შეფასების დოკუმენტი, რაშიც იგულისხმება სამუშაო პროცესში წარმოქმნილი საფრთხეების იდენტიფიცირება და გამოვლენა, რისკის სიდიდის და მნიშვნელობის განსაზღვრა და პრევენციული ღონისძიებების გატარება, არსებული დოკუმენტი შესაბამისობაში უნდა იყოს ობიექტზე არსებულ სამუშაოებთან. ორგანიზაციას არ აქვს მიღებული პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის სპეციალური ზომები. ორგანიზაციამ გაცემული მითითების შესაბამისად უნდა წარმოადგინოს დასაქმებულთა შესაბამისი ტრენინგი. მშენებლობაზე დასაქმებულები, რომლებსაც შეხება აქვთ ფიზიკურ ფაქტორებთან სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე სრულყოფილად უზრუნველყოფილნი იქნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (სპეც.ტანსაცმელი, სპეც. ფეხსაცმელი, ხმაურმხშობი, სპეც. ხელთათმანი, რესპირატორი, თვალისა და სახის დამცავი საშუალებები, ტენმედეგი ტანსაცმელით, ანტივიბრაციული ხელთათმანები და ა.შ.).ობიექტი არ არის აღჭურვილი პირველადი დახმარებისათვის საჭირო და შესაბამისი რაოდენობის სააფთიაქო ყუთებით. სამშენებლო ტერიტორიაზე არ არის განთავსებული მაფრთხილებელი ნიშნებით არჭურვილი შემზღუდავი ბარიერები. მოაჯირები არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ღიობებზე ფენილები არ არის დამაგრებული. დარღვეულია მაღალი წნევის და თხევადი გაზის ბალონების, როგორც შევსებული ასევე ცარიელის შენახვის, გადატანის და ექსპლუატაციის წესები. მეჯამბარეები არ არიან უზრუნველყოფილი ტვირთების მასის და ფორმის შესაბამისი გამოცდილი და მარკირებული ტვირთსატაცი სამარჯვებით და ტარით. ობიექტზე არ არის განსაზღვრული ტვირთების დასაწყობების მოედნები და ადგილები რომლებიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი ტექნოლოგიური აღჭურვილობით და სამარჯვებით. მეჯამბარეებს და მეამწეებს სათანადოდ არ უტარდებათ დაჯამბარებასა და დასაწყობებასთან დაკავშირებული კონკრეტული ინსტრუქციები. სიმაღლეზე მომუშავე ყველა თანამშრომელს უნდა ქონდეს გავლილი შესაბამისი სწავლება, ინდივიდუალური პასუხისმგებლობისა და მოვალეობების ასევე უბედური შემთხვევისას პირველადი დახმარების აღმოჩენის შესახებ. ობიექტზე განხორციელდეს ხარაჩოების, კიბეების და დამცავი ღვედების შემოწმება კომპენტეტური პირის მიერ და შემოწმების დკუმენტირება. კორპუსის გარშემო ნათხარი გრუნტები არ არის შემოღობილი. სამშენებლო მოედანი დასახლებულ ადგილებში და საზოგადოებრივი სივრცის მომიჯნავედ უნდა იყოს შემოღობილი, რათა სამშენებლო მოედანზე შესვლა იყოს კონტროლირებადი. ხალხის მოძრაობის ადგილებში ღობე არ არის გადახურული დამცავი საფარით, რომელიც უზრუნველყოფს ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებას. სიბნელის დროს შემოღობვა უნდა იყოს აღჭურვილი სასიგნალო ნათურებით ან/და გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი

მასალა ან შეფერილობა, რომელიც აღიქმება სიბნელეში. ამწის მომსახურე პერსონალს არ უტარდება სწავლება და ცოდნის პერიოდული შემოწმება, ობიექტზე არ არის დანიშნული ამწის ტექნიკურ გამართულობასა და უსაფრთხოდ ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე მეჯამბარეები არ არიან უზრუნველყოფილი ტვირთების მასის და ფორმის შესაბამისი გამოცდილი და მარკირებული ტვირთსატაცი სამარჯვებით და ტარით. სამშენებლო მოედანზე.

შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევების საფუძველზე გაიცა შემდეგი მითითებები:

N	გაცემული მითითება
1	საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავეთ წერილობითი დოკუმენტი თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების შესახებ, რომელიც დაფუძნებული იქნება სამუშაო სივრცეში და სამუშაო ადგილებზე საფრთხეების იდენტიფიცირების, რისკის შეფასების და მართვის სისტემაზე. ასევე დოკუმენტი მოიყვანწეთ სამსენებლო მოედანტან სესაბამისობაში. 1. გამოავლინეთ საფრთხის შემცველი ფაქტორები; 2. გამოავლინეთ ის დასაქმებულები რომლებიც იმყოფებიან საფრთხის ქვეშ; 3. შეაფასეთ რისკები და დაგეგმეთ გასატარებელი ღონისძიებები; 4. გაატარეთ შესაბამისი ღონისძიებები საფრთხეების აღმოფხვრისა და რისკების შესამცირებლად; 5. აწარმოეთ სისტემატური მონიტორინგი და აკონტროლეთ ნარჩენი რისკები. **საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“** **მუხლი 6, პუნქტი 1. „ა,ბ,გ,დ,ე,ვ.“ ქვეპუნქტები.**

2	დამსაქმებელმა უზრუნველყოს დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟების ჩატარება: შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი და სხვა ნორმების და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ; სამუშაო პროცედურების, ტექნიკისა და აღჭურვილობის უსაფრთხოდ გამოყენებისა შესახებ; საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების შესახებ; არსებული საფრთხისა და რისკის, აგრეთვე მათი კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. **საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“** **მუხლი 5, პუნქტი 2, პუნქტი 3.** სიმაღლე მომუშავე დასაქმებულებს ჩაუტარეთ სწავლებები სიმაღლეზე მუშაობის, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის და პირველადი დახმარების აღმოჩენის შესახებ, ასევე აუცილებლად მოახდინეთ მათი დოკუმენტირება კანონმდებლბის შესაბამისად. **საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №477, „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ მუხლი 16.** დამსაქმებელმა უზრუნველყოს რეგლამენტის მოთხოვნათა მიხედვით ამწის მომსახურე პერსონალის სწავლება და ცოდნის პერიოდული შემოწმება. **საქართველოს მთავრობის დადგენილება №429 2013 წლის 31 დეკემბერი** **ამწე მოწყობილობების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 29, პუნქტი 2, „ბ“ ქვეპუნქტი.**
3	დასაქმებულები აღჭურვეთ შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. (სპეც.ტანსაცმლი, სპეც.ფეხსაცმელი, ხმაურმხშობი, სპეც.ხელთათმანი, რესპირატორი, თვალისა და სახის დამცავი საშუალებები, ტენმედეგი ტანსაცმელი, ანტივიბრაციული ხელთათმანები და ა.შ.). უზრუნველყავით ინდივიდუალური მათი ტექნიკური გამართულობა და დროულად შეცვალეთ ისინი ახლით. **საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“** **მუხლი 6, პუნქტი 3, „ზ“ ქვეპუნქტი და მუხლი 5, პუნქტი 1, „ვ.ბ“ ქვეპუნქტი.** სამშენებლო ობიექტზე ყველა დასაქმებულები აღჭურვეთ სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ამოსაცმელი ქამრებით/ღვედებით. **საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №477, „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.** **მუხლი 11.**
4	დასაქმებულთა რაოდენობის და საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით მიიღეთ პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ზომები. სამუშაო ადგილები აღჭურვეთ საკმარისი რაოდენობის პირველადი სამედიცინო დახმარების სააფთიაქო ყუთებით. **საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“** **მუხლი 8, პუნქტი 1.**

5	ობიექტზე სადაც არსებობს დასაქმებულთა სიმაღლიდან ვარდნის საფრთხე მოაწყვეთ დამცავი მოაჯირები, კანონმდებლობის შესაბამისად. **საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №477, „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“. მუხლი 5.**
6	სამშენებლო ობიექტზე არსებული ხარაჩოები შესაბამისობაში მოიყვანეთ კანონმდებლობასთან. **საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №477, „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“. მუხლი 6.**
7	მოხდეს ობიექტზე არსებული ხარაჩოების, კიბეების და დამცავი ღვედების შემოწმება და მათი დოკუმენტირება **საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №477, „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ მუხლი 9, პუნქტი 4-5. მუხლი 14, პუნქტი15.**
8	დასაქმებულებისთვის უზრუნველყავით ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ქამარი/ღვედის ჩასაბმელით (ბაგირი ან ანკერები). **საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №477, „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“. მუხლი 12.**
9	სამშენებლო მოედანზე განსაზღვრეთ განსაკუთრებით საშიში ზონა, რომელიც უნდა შემოიფარგლოს მაფრთხილებელი ბარიერით, უსაფრთხოების ნიშნებითა და შესაბამისი წარწერებით („ფრთხილად“, „ვარდნის საფრთხეა“, „არ გადაკვეთოთ“.) **საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 13.**
10	ობიექტზე არსებული არაქარხნული კიბეები ჩანაცვლდეს ქარხნულით. **საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.მუხლი 14, პუნქტი 9.**
11	ლიფტის, სავენტილაციო და ტექნიკური ღიობები დაიფაროს სპეციალური ხუფებით ან ფენილით და შესაბამისი წარწერით. **საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №477, „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.მუხლი 15.**

12	სამშენებლო მოედანი შემოღობეთ სრულყოფილად, გადახურეთ დამცავი საფარით და აღჭურვეთ სასიგნალო ნათურებით ან ამრეკლი ფერის ნიშნებით. **საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისი დადგენილება №361 „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“. მუხლი, პუნქტი 2.**
13	სამშენებლო მოედანზე ნათხარ გრუნტებში ხალხის შესაძლო მოხვედრის ადგილები უნდა იყოს შემოღობილი. **საქართველოს მთავრობის დადგენილება №361 2014 წლის 27 მაისი. მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 2, პუნქტი 3.**
14	ობიექტზე დაუშვით მხოლოდ ის ამწესაშუალება რომელსაც ექნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უსაფრთხოდ ექსპლუატაციის მდგომარეობის დამადასტურებელი სერთიფიკატი. **საქართველოს მთავრობის დადგენილება №429 2013 წლის 31 დეკემბერი ,,ამწე მოწყობილობების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“. მუხლი 28.** დამსაქმებელმა დანიშნოს პასუხისმგებელი (ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები) პირები ამწეების უსაფრთხო ექსპლუატაციის და ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად. **საქართველოს მთავრობის დადგენილება №429 2013 წლის 31 დეკემბერი „ამწე მოწყობილობების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ მუხლი 29, პუნქტი 2, „ა“ ქვეპუნქტი.** უზრუნველყოს მეჯამბარეები გადასაადგილებელი ტვირთების მასის და ფორმის შესაბამისი, გამოცდილი და მარკირებული ტვირთსატაცი სამარჯვებით და ტარით **საქართველოს მთავრობის დადგენილება №429 2013 წლის 31 დეკემბერი „ამწე მოწყობილობების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ მუხლი 30, პუნქტი 7, „დ“ ქვეპუნქტი.**
15	მაღალი წნევაზე მომუშავე შევსებული და ცარიელი ბალონები შეინახეთ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. **საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვარი დადგენილება № 79 „ჰაერის დაყოფის პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-ს მუხლი 17, პუნქტი 2.** **საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის დადგენილება N361, ,,მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ მუხლი 15. პუნქტი 9,10.**

დამრღვევის ახსნა-განმარტება მითითების ვადასთან დაკავშირებით
(ზედამხედველი ორგანოს მიერ დადგენილი გონივრული ვადა შეიძლება შეთანხმდეს სამართალდამრღვევთან, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე)

მითითების გამოსასწორებელი ვადა შეადგენს 10 (ათი) კალენდარულ დღეს.

მითითების გამცემი (თანამდებობა, სახელი, გვარი):
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები:

შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმების განმახორციელებელი სამსახური ამ გაცემული მითითებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ამოწმებს სამართალდამრღვევს, რის შესახებაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აღინიშნება საწარმოს ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ:
ა) მითითება შესრულდა.
ბ) მითითება არ შესრულდა.
მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახურის უფლებამოსილი პირი იყენებს შესაბამის ადმინისტრაციულ სახდელს და აღნიშნავს მას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში.
მითითება ჩაიბარა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი)
~~მითითება ჩაიბარა შემოწმების პირმა~~

სამართალდამრღვევის პირის მიერ მითითების ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა

უფლებამოსილი პირ(ები)ი:

სამართალდამრღვევ